



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000074691819820

№ ს-2350

25 / სექტემბერი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 აგვისტოს #ს-1997 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება, „წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 აგვისტოს #ს-1997 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ #1-ეს შენობა-ნაგებობების ნუსხას დაემატოს:

ა)ქ. მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პუნქტი 2. ქალაქ მცხეთის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი;

ბ)მუხრანის ადმინისტრაციული ერთეული - მუხრანის კულტურის სახლი.

2.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად

გიორგი კაპანაძე